# უნივერსიტეტის პირველი რექტორი

პეტრე მელიქიშვილის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების ისტორიასთან. ის იყო მისი პირველი რექტორი და ხელმძღვანელი.

მეფის მთავრობა წინააღმდეგი იყო „განაპირა ქვეყნებში“, კერძოდ საქართველოში, უმაღლესი სკოლის დაარსებისა. მას ეშინოდა, რომ ასეთი სკოლა ხელს შეუწყობდა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას და გაძლიერებას. როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა ერთა თვითგამორკვევის უფლება, საქართველოში ადგილობრივმა საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი დიდი ხნის სანუკვარი საქმის განხორციელებას.

უნივერსიტეტის დაარსებას ჩვენში ყველა თანაგრძნობით როდი უყურებდა. მაშინ ამ საქმეს ჰყავდა მოწინააღმდეგენიც, რომელთაც არ სჯეროდათ, რომ ჩვენში უნივერსიტეტი ფეხს მოიკიდებდა. ყოველ შემთხვევაში მენშევიკურ მთავრობის ეს საქმე არ მიაჩნდა სახელმწიფოებრივ საქმედ. კერძო პირთა წამოწყებად თვლიდა მას. ამ პირობებში უმნიშვნელო არ იქნებოდა, თუ ვის ჩაუდგებოდა სათავეში ახლადშექმნილ უნივერსიტეტს. საჭირო იყო ამ საქმისათვის ადამიანი, დიდი მეცნიერული ავტორიტეტით აღჭურვილი და უნივერსიტეტის ცხოვრებაში ღრმად ჩახედული. ასეთი კი იყო პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. არჩევანიც იმაზე შეჩერდა.

როდესაც საუნივერსიტეტო საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე გამოცხადდა, რომ უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე განზრახულია პროფესორ პეტრე მელიქიშვილის არჩევა, ყველა დამსწრე დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს.

ნამდვილი ჭაბუკური ენერგიით შეუდგა პეტრე მელიქიშვილი რექტორის თანამდებობაზე მუშაობას. ის იწვოდა ამ საპასუხისმგებლო საქმის შეგნებით. ის ჩვენთან ერთად მხნედ იტანდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც მაშინდელი აფორიაქებული ცხოვრების პირობებში წინ ეღობებოდა ჩვენს საქმეს. ვის არ უნახავს პეტრე მელიქიშვილი, ახლა მისი სახელობის გამშვენებულ ქუჩაზე, უბრალო ხისაგან გამოჭრილი ჯოხით ხელში, ჩაფიქრებულად მიმავალი უნივერსიტეტში წვიმასა და ქარში, სიცხესა და სიცივეში? პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შერჩევა და მოწვევა, სამეცნიერო საკითხების მოგვარება, სტუდენტთა ყოფაცხოვრებისა და მეცადინეობის საკითხები ამ დიდი პატრიოტის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო.

პეტრე მელიქიშვილს დიდად აინტერესებდა ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა. ერთხელ მან გვიამბო, რომ სიტყვა „ქიმია“ ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში გვხვდება. მას თვალები გაუბრწყინდა და თქვა: მაშ ქართული მეცნიერება, რომელსაც შორეულ წარსულში ჰქონია ნიადაგი, უეჭველად გაიმარჯვებსო და ჩვენმა მეცნიერებამ, საბჭოთა მთავრობისა და პარტიის მზრუნველობით, მართლაც დიდ წარმატებას მიაღწია. პეტრე მელიქიშვილს რომ შეეძლოს თავის საფლავიდან, რომელიც უნივერსიტეტის ეზოშია, შეხედოს უნივერსიტეტის კედლებში, მან რომ იცოდეს, რომ ეს უნივერსიტეტი დღეს ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტია საბჭოთა კავშირში, გულდამშვიდებით იტყოდა: „დიახ, ოცნება სინამდვილედ ქცეულა“.

კ. კეკელიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი